ფერმერული მეურნეობების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

მანანა შალამბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

THE ROLE OF FARMS IN THE DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL SECTOR

Manana Shalamberidze
Associate professor of
Akaki Tsereteli State University

RESUME

Farms play an important role in the development of the agricultural sector. In the last period, a complex organizational synthesis of agricultural and industrial production was implemented in the agrarian sphere in the form of agribusiness, where various branches of the food and processing industry, peasant farms, and cooperative unions occupy a leading place.

The aim of the work is to determine what prevents the development of farms and what is needed to increase the competitiveness of Georgian agriculture and improve the social condition of farmers and rural residents. For this, it is necessary to attract investments,For this, it is necessary to actively cooperate with the private sector, insurance and microfinance organizations, specialized funds, international financial institutions and donor countries, to develop such innovative, sustainable and efficient models that will stimulate the attraction of investments in agriculture.

Despite the progress made, the implemented reforms, farms still face many difficulties, which hinder the development of the agricultural sector.

Key words: farming, farming, agrarian, sector, agribusiness, farmers.

* * * *

სოფლის მეურნეობა, საქართველოს ეკონომიკაში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია მთლიანი შიდა პროდუქტის/ მშპ-ში მისი წილის, სამუშაო ადგილების შექმნისა და სავალუტო შემოსულობების თვალსაზრისით.

მიუხედავად შიდა და გარე ბაზრის შესაძლებლობებისა, სოფლის მეურნეობის სექტორის, ზრდის ტემპი მის პოტენციალთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის უმეტესი ნაწარმის პროდუქტიულობა დაბალია, როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ასევე შესადარებელ ქვეყნებთან მიმართებით. საოჯახო მეურნეობების თითქმის 80 პროცენტს გააჩნია ერთ ჰექტარზე ნაკლები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, 4.3 პროცენტს - ერთი ან ორი ჰექტარი და მხოლოდ 1.3 პროცენტს (8577 საოჯახო მეურნეობა) გააჩნია ხუთი და მეტი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). მცირე ფერმების უმეტესობისთვის, მცირე ფერმის ზომისა და ფერმის დაბალი პროდუქტიულობის ერთობლიობა ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო შემოსავლები ძალიან დაბალია იმისთვის, რომ მხოლოდ ფერმიდან მიღებული შემოსავალით ირჩინონ თავი. ფაქტობრივად, სოფლად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენს ხელფასები და სოციალური დახმარებები, რომელიც არ არის დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. ამასთანავე, ექსპორტზე ორიენტირებული მწარმოებლებისა და აგრობიზნესის საწარმოების შედარებით მცირე, მაგრამ მოწინავე ჯგუფებმა, რომლებიც აწარმოებენ ღვინოს, თხილსა და სასურსათო ხილს, შეიმუშავეს წარმატებული მიწოდების ჯაჭვი და აჩვენეს მდგრადი ზრდის შესაძლებლობა. დანარჩენი ფერმერები, სუსტად არიან ინტეგრირებულები ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრებში. აგრობიზნესის მცირე საწარმოები, ძირითადად ფოკუსირებულია შიდა ბაზრებზე და უჭირთ იმპორტთან კონკურენცია. უფრო მეტიც, მიუხედავად საქართველოში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ღირებულების ზრდისა, პირდაპირი და არაპირდაპირი კავშირები, საწარმოო საშუალებების ინდუსტრიასა და აგრო გადამამუშავებელ საწარმოებთან, უფრო ძლიერი უნდა იყოს. ეს ეხება ეკონომიკის სხვა სექტორებსაც. ამან შეიძლება, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს, სოფლის მეურნეობაში დამატებითი ღირებულების პოტენციალზე, სექტორის მოდერნიზაციასა და კონკურენტუნარიანობაზე. ბაზრების როლი, დამატებითი ღირებულების შექმნის პროცესში, კვლავ შეზღუდული რჩება. ზოგადად, პირდაპირი გაყიდვები საოჯახო მეურნეობებზე და საოჯახო მეურნეობების მიერ მოხმარება, კვლავ რჩება სექტორისათვის მნიშვნელოვან საკითხად. აგრობიზნესის ბევრი წარმომადგენელი, მცირე ფერმერებისგან შესყიდვის ნაცვლად, მიმართავს ვერტიკალურ ინტეგრაციას, როგორც ნედლეულის სტაბილური მიწოდების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებას(მსოფლიო ბანკის ჯგუფი/ WBG 2020d). ქართველ ფერმერებს მოუწევთ, ისარგებლონ მწვანე ტექნოლოგიებით.

საქართველოში, ფერმერების მიერ, დანერგილი კლიმატის ცვლილებებზე რეაგირების ძირითადი პრაქტიკა მოიცავს კონსერვაციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გამოყენებას (კულტურათა მონაცვლეობა/თესლბრუნვა, მულჩირება, ნიადაგის ნულოვანი ან მინიმალური დამუშავება), ზუსტი ირიგაციის ან მიკროირიგაციის ტექნოლოგიებს, ქარსაცავ ზოლებს, სეტყვისა და მოყინვის საწინააღმდეგო სისტემებს და ასევე, საძოვრებში ინვესტირებას. თუმცა, მიუხედავად ასეთი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის/CSA, მრავალმხრივი სარგებლისა, საქართველოში, მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობისათვის გამოვლენილი პრაქტიკისა და ტექნოლოგიების უმეტეს ნაწილს, დანერგვის ძალიან დაბალი ხარისხი აქვთ (30 პროცენტზე ნაკლები). კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ფართომასშტაბიანი დანერგვის ძირითად ბარიერებს წარმოადგენს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ცოდნისა და პრაქტიკის ნაკლებობა, აღჭურვილობისა და უნარ-ჩვევების უქონლობა (მსოფლიო ბანკი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია/FAO, 2022წ.). ფერმერების კრედიტებზე შეზღუდული წვდომა წარმოადგენს ძირითად წინააღმდეგობას, მათ მიერ ტექნოლოგიებისა და წარმოების საშუალებების ფართო გამოყენებისათვის და მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ფერმერების მიერ სესხის უზრუნველყოფის/გირაოს უქონლობასთან, რადგან მიწის მხოლოდ 40 პროცენტი არის რეგისტრირებული. მიწის ნაკვეთების ზომასთან ერთად, მიწის ფლობის შეზღუდული უფლება აღმოჩნდა ის კრიტიკული პრობლემა, რაც აფერხებს ინვესტიციებს, აგრო-ბიზნესის განვითარებასა და კომერციალიზაციას. ეს ყველაფერი, ურწყავი და სარწყავი მიწების პირობებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდის მაღალ პოტენციალზე მიუთითებს.

ახალ წარმოქმნილი მცირე ფერმერებისა და აგრობიზნესების სუსტი ინტეგრაცია, ერთ-ერთი ყველაზე უფრო კრიტიკული, ხელისშემშლელი პირობაა საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდისთვის. (მსოფლიო ბანკის ჯგუფი 2020d). მცირე ფერმერული მეურნეობების მაღალი წილის გათვალისწინებით არსებული მყიდველების (გადამამუშავებლები, საცალო მოვაჭრეები, ექსპორტიორები, შუამავლები) მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, მცირე ფერმერებისგან შესაბამისი ხარისხის საკმარისად დიდი მოცულობის პროდუქტის შეძენა, რასაც ხშირად თან სდევს მრავალ მომწოდებელთან ინდივიდუალური მუშაობის მაღალი საოპერაციო ხარჯები. უფრო მეტიც, ერთი მხრივ, კავშირები ფერმერებსა და მყიდველებს შორის უმეტესად არაფორმალურია და ეფუძნება ადგილობრივ ბაზარზე ნაღდ ანგარიშსწორებას, როგორც ეს ხდება საქონლისა და ცხვრის (როგორც ცოცხალი, ასევე პროდუქტის სახით) ბაზარზე და თხილის, კენკრის, ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). კავშირები მიმწოდებლებსა და მყიდველებს შორის შედარებით უკეთ არის განვითარებული, ღირებულებათა ისეთი ჯაჭვების შემთხვევაში, სადაც წარმოება და მოთხოვნა სეზონურობით არ ხასიათდება და აგრო-გადამამუშავებლებს აქვთ მყარი საბაზრო კავშირები, როგორც ეს ხდება რძის ქვესექტორში, მაგრამ მხოლოდ მსხვილ მწარმოებლებსა და მსხვილ მყიდველებს შორის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი 2021წ.). მეორე მხრივ, საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული ფერმერებზე ან მწარმოებლებზე დაფუძნებული ორგანიზაციები (როგორიცაა, ასოციაციები და კოოპერატივები), რომლებსაც შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მცირე ფერმერებსა და მყიდველებს შორის კავშირებს (სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი). საქართველოს ფერმერული მეურნეობები იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წყლის მართვის, დაბალ ტექნოლოგიურ, კვალში მიშვებისა და მოღვრის მეთოდებს, წყლის უკონტროლო მოხმარებით. დაწვიმებითი რწყვის სისტემები მცირედ გამოიყენება კახეთში; თუმცა ამ ტექნოლოგიის გამოყენება ფართოდ გავრცელებული არ არის, რადგან მისი დამონტაჟების კაპიტალური ხარჯები მაღალია და ტიპურ, პატარა ფერმებში დიდი ზომის აღჭურვილობის (მაგალითად, ცენტრალური პივოტის) გამოყენება ეკონომიკურად გამართლებული არ არის. წვეთოვანი მორწყვა, რომელიც გამოიყენება მებაღეობაში შედარებით მცირე ფართობებზე, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს, რადგან ფერმერების უმეტესობა ხედავს მის უპირატესობებს წყლის გამოყენების შემცირებაში, მოსავლიანობის გაზრდასა და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებაში. საქართველოს ირიგაციის 2017-2025 წლების სტრატეგიაში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია, კერძო სექტორის მიერ ირიგაციისთვის მიწისქვეშა წყლების ათვისების გაძლიერებაზე, განსაკუთრებით წვეთოვანი მორწყვის ტექნოლოგიასთან კომბინაციაში, რაც პროგნოზის მიხედვით იმდენად გაიზრდება, რომ 2025 წლისთვის სარწყავი ფართობის 10 პროცენტს დაფარავს (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2017b).

აგრარულ სექტორში, მიწის ფართობს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა უჭირავს. იქიდან გამომდინარე, რომ დედამიწაზე დასამუშავებლად ვარგისი მიწა მთლიანი ფართობის მხოლოდ 10.7%-ია, არსებობენ ქვეყნები, სადაც დასამუშავებლად ვარგისი მიწა დიდი რაოდენობითაა და ქვეყნები, სა-

დაც პირიქით. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიხედვით, ბანგლადეშს (61%), უკრაინას (59%), ინდოეთს (52%), მოლდოვას (52%) და ტოგოს (49%) მთლიან მიწასთან მიმართებაში დასამუშავებლად ვარგისი მიწის პროცენტული ოდენობა ყველაზე მაღალი აქვთ. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 4.5%-ია, რაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან შედარებით, დაბალი რიცხვია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ფერმერთა და სოფლად მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის აუცილებელია კერძო სექტორთან, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან, სპეციალიზირებულ ფონდებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და დონორ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობა, ისეთი ინოვაციური, მდგრადი და ქმედითი მოდელების შემუშავება, რომლებიც სტიმულს მისცემენ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვას.

ფერმერული მეურნეობებს, აგრარულ სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია. უკანასკნელ პერიოდში აგრარულ სფეროში განხორციელდა რთული ორგანიზაციულ სამეურნეო და სამრეწველო წარმოების სინთეზი აგრობიზნესის სახით, სადაც წამყვანი ადგილი უჭირავთ კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგებს, გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს, კოოპერაციულ გაერთიანებებს.

განხორციელებული რეფორმები ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების შექმნისა და განვითარების საფუძველი გახდა, მაგრამ მათი ფორმირება მოხდა სტიქიურად არამიზნობრივად, ისინი დღეს თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ ავლენენ, მიუხედავად ამისა, გატარებული რეფორმების შედეგია ის, რომ 2013 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ". სოფლად ჩამოყალიბდა კერძო მეწარმეთა და საქონელმწარმოებელთა ახალი ფენა - ფერმერები, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ყალიბდება კოოპერაცია, იქმნება ახალი ფერმერული სტრუქტურები. ხოლო მათი წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა ოპტიმალური სიდიდის საწარმოების შექმნა..

ამჟამად საქართველოში ბევრია ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც არსით ფაქტობრივად ფერმერული მეურნეობაა, მაგრამ იმის გამო, რომ სათანადო იურიდიული ბაზა არ არსებობს, მოქცეულია გაურკვეველ ჩარჩოებში და ისე ახორციელებს თავის საქმიანობას. ეს მაშინ, როცა ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები გამიჯნულია როგორც ერთმანეთისაგან, ისე ყველაფრისაგან და მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ, რის გამოც ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავისი კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში, სწორედ ზემოთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ.

ამჟამად ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და მის საფუძველზე აგრარული სფეროს განვითარებას ესაჭიროება სერიოზული მიხედვა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა.

ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტური განვითარება დღის წესრიგში აყენებს აგროსერვისის სრულყოფის, სოფლად ერთიანი ინფრასტრუქტურის სამსახურის შექმნის საკითხს, რომელმაც უნდა განახორციელოს მატერიალურ ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, მათი შეკეთება, მექანიზებული სატრანსპორტო, სამონტაჟო და აგროქიმიური სამუშაოების შესრულება და სხვა. უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები. უნდა გაფართოვდეს მცირე გაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების გადაცემა. ამასთან მნიშვნელოვანია მეურნეობის საწარმოო მიმართულების სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. ჩვენი აზრით, საქართველოში ამ თვალსაზრისით გარკვეული ძვრები არსებობს, რადგან ფუნქციონირებს სამთავრობო და არასამთავრობო „აგროსერვისცენტრები". ქვეყნის მასშტაბით არსებული ასეთი სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დანიშნულებაა, რომ აგროსექტორში მოღვაწე ფერმერებს, ბიზნესმენებს და სოფლად მაცხოვრებელ მშრომელ გლეხებს თვალნათლივ აჩვენონ თანამედროვე სარგავ-სათესი მასალებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობა მაღალხარისხიანი, ტრანსპორტაბელური და ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საქმეში.

დასკვნის სახით გვინდა ვთქვათ რომ, სოფლის მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების და მისი სრულყოფის ტენდენციების, მასთან დაკავშირებული კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე, რის გამოც მან სტიქიური ხასიათი მიიღო. ყოველივე ამან ხელი ვერ შეუწყო სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების განვითარებას. სწორედ ამის შედეგია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად ბირთვს ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს, ამასთან დარგობრივი ნიშნით თუ განვიხილავთ მათ საქმიანობას, ისინი ძირითადად მიეკუთვნება მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და მეცხოვე-

ლეობის პროდუქციის მწარმოებელ ფერმერულ მეურნეობებს. ფერმერულ მეურნეობებში საწარმოო პროცესი სუსტი მენეჯმენტის პირობებში მიმდინარეობს. მეწარმეები განიცდიან ბიზნესისათვის აუცილებელი ცოდნის და ინფორმაციის დეფიციტს. მათ ხშირ შემთხვევაში არ იციან სესხების, გრანტების გამცემი და სხვა ინსტიტუტების არსებობის შესახებ. ამიტომ საჭიროა შეიქმნას აგრარული სექტორის კოორდინირებული მართვის ერთიანი სამსახური.

სოფლის მეურნეობისა და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად პრიორიტეტი ენიჭება შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს: ა) ფერმერთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება; ბ) ღირებულებათა ჯაჭვების განვითარება მათი დივერსიფიკაციის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვისა და ფერმერებს შორის კოოპერაციის ხელშეწყობის გზით; გ) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; დ) ბაზარზე ფერმერებისა და მეწარმეების ინტეგრაციის ხელშეწყობა; ე) სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების მხარდაჭერა; ვ) ინფრასტრუქტურასა და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; და ზ) სარწყავი და სადრენაჟე სისტემების გაუმჯობესება;

გამოყენებული ლიტერატურა:

1.„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“.

2.https://documents1.worldbank.org/curated/en/0990250

3.მსოფლიო ბანკი, 2020 წელი.

4.საქსტატი 2023